№ 12

სამშაბათი, 18 იანვარი 1894

1877—1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 12

სამშაბათი, 18 იანვარი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“

გამოვა 1894 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 19 იანვარს,

ბენეფისი

**დ. მ. აწყურელისა**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ბ. ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანისა და ტუკიაკელის მონაწილეობით:

წარმოდგენილი იქნება:

I

**დრონი მეფობენ**

დრ. 5 მოქ. გულისაშვილისა.

II

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 7½ საათზედ

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია კვირას, ოცს თებერვალს, დილის 11 საათზედ, ტფილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. აღმასრულებელი ტფილისის მაზრის კეთილ-შობილთ წინამძღომლის თანამდებობისა მიხეილ პეტრეს ძე ისარლოვი აუწყებს იმ თავად-აზნაურთ ტფილისის მაზრისას, რომელთაც აქვთ უფლება, ამ კრებაში არჩევანებში მონაწილეობა მიიღონ, მობრძანდნენ ზემო აღნიშნულს დროს და, ვიდრე კრება დაიწყებოდეს, წარმოადგინონ საბუთნი თავიანთ უფლებათა, თანახმად კანონისა მე-104 მუხლისა, რომელიც მოთავსებულია 1876 წელს გამოცემულ მეცხრე ტომში. (3—2)

## ტფილისი, 18 იანვარს

ვორონეჟის გუბერნიის ქარხნების ინსპექტორმა ბ-ნმა მიროპოლსკიმ, ჩვენის აზრით, უფრო ღრმად და ძირეულად შეჰხედა საგანს. რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა მეურნეობისათვის, რომ ტყეები ხელახლად გაშენდეს, საცა გაუჩეხიათ, გაყვანილ იქმნას არხნი და რუები მინდვრების მოსარწყავად, გავრცელდეს სამეურნეო სწავლა-განათლება გლეხობაში, როგორც დაბალი, აგრეთვე უმაღლესი, დაწესებულ იქმნას სამაგალითო ფერმები და საცდელი მინდვრები, ყოველივე ესე ვიმეორებთ, კრებამ საჭიროდ დაინახა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ გაღარიბებული და გაღატაკებული გლეხი ვერ გამოიყენებს ასეთ ცოდნას, თუ სახნავ-სათესი და საძოვარი არ ექნება, თუ რიგიანი საქონელი და სამეურნეო იარაღი არა აქვს. ხელ-მოკლე კაცისათვის დიდი ბედნიერება არ იქნება სამეურნეო ცოდნა, თუ ხელ-მოკლეობის გამო შეძენილ ცოდნას ვერას მოახმარს.

მიროპოლსკის აზრით, უპირველესი ღონისძიება დაცემულ ეკონომიურის მდგომარეობის აღდგენისათვის ისაა, რომ მივცეთ შეძლება მხვნელ-მთესველს, ღონე მოიკრიფოს, წელში გამაგრდეს, ქონებით გაღონიერდეს, ერთის სიტყვით, შეიძინოს სყიდვის ძალა. სწორედ მაშინ ვეღარ შეაშინებს გლეხს დიდი სახელმწიფო გარდასახადი, რომელიც ეხლა მძიმე ტვირთად აწევს და რომლის გამო ასე უმწეო და უღონოა ცხოვრების ჭიდილში.

გლეხობა, სთქვა მიროპოლსკიმ, არის საფუძველი ჩვენის ეკონომიურის წეს-წყობილებისა. როცა გლეხი მდიდარია და ღონიერი, სხვებიც მდიდარნი არიან და ღონიერნი. პურის მოსავალი საზღვარგარედ გაგვაქვს, ვითომ და ამით ვაჭრობას ვაძლიერებთ. ამ გვარი ვაჭრობა და აღებ-მიცემა უფრო დაგვღუპავს, ვიდრე გაგვაკეთებს. საჭიროა დიდად გავაძლიეროთ გლეხის სყიდვის ძალა, და მით გავაფართოვოთ და გავადიდოთ შინაური ბაზარი ჩვენისავე მრეწველობისა. თუ გლეხობა კარგად იქმნება ჩაცმულ დახურული, საკმარისი და ნოყიერი საზრდო ექნება, კაი სახლებში იცხოვრებს, მაშინ აღარ მოგვინდება თავის ხელთქა გარეშე ბაზრის მოვნისათვის. ვაჭრობა და მრეწველობა, გამაგრებული შინაურ ღონიერის ბაზრით, უფრო გაძლიერდება და დიდ მნიშვნელობას შეიძენს. უამისოდ რას გვიშველის მთავრობისადმი მუდარება, გაუწიე დახმარება და მფარველობა სამშობლო მრეწველობასო. ამ გვარი მფარველობა, მართალია, ორ-სამს კაცს გაამდიდრებს, მაგრამ უმრავლესობას დაჰღუპავს. რაკი გლეხ-კაცობა, ეს უმთავრესი ეკონომიური ძალა რუსეთისა, ეს ერთად-ერთი წყარო ჩვენის სიმდიდრისა და ბედნიერებისა, ღონიერი იქნება ქონებით, იაფ-ფასიან კრედიტის გაჩენაც მეტის-მეტად გაადვილდება.

სამშობლო მრეწველობის მფარველობამ დიდი ზარალი მოუტანა რუსეთის ხვნა-თესვას. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მკვიდრი იაფად ვეღარა შოულობს საჭირო საგანს და მექარხნეც, რაკი შემცილებელი არავინა ჰყავს, ძვირად ჰყიდის უვარგისს საქონელს და მის გაუმჯობესობისათვის თავს აღარ იტკივებს.

კრებამ ბევრი კიდევ სხვა საყურადღებო რეფერატები მოისმინა და შესაფერი განაჩენებიც დასდო, მაგრამ ყველაზე დიდი ყურადღება მიაქცია ხარჯის აკრეფის ინსპექტორ განეიზერის მოხსენებას. განეიზერმა ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენს მარჩენალს მიწას იმოდენა ხარჯი აწევს, რომ მისი გაძლოლა შეუძლებელია, რადგან ხარჯი გაცილებით სჭარბობს შემოსავალსაო.

კრებამ საჭიროდ იცნა შემცირდეს გადასახადი, მაგრამ რა ნაირად? მთავრობა როგორ-ღა გაუძლვება იმ აუარებელ ხარჯს, რომელიც კისრად ადევს. მარტო სამხედრო უწყება ჰხარჯავს წელიწადში 240 მილიონ მანეთს, ზღვისა—51 მილიონს, ვალის სარგებელი წელიწადში—257 მილიონია, ასე რომ ნახევარზე მეტი შემოსავლისა სამხედრო უწყებას უნდება.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** „Новое Время“ იუწყება, რომ ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში (ოდესაში) სამკურნალო ფაკულტეტი დაარსებულ იქმნება და ამის შესახები პროექტი, შემზადებული სწავლა-განათლების სამინისტროსაგან, უკვე დამტკიცდა.

*** სოფ. წილკანი (დუშეთის მაზრა): არც ჩვენ დავხვდით გულგრილად დიდად ნიჭიერ ბელეტრისტის ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზიბეგის სიკვდილსა. დიდად ვსწუხვართ ამისთანა კაცის უდროოდ დაკარგვას. პატივსაცემად გარდაცვალებულისა, იანვრის 3-ს გარდახდილ იქმნა წილკნის ტაძარში პანაშვიდი მ. ბლაღოჩინის გელაძისა და მღვ. აფციაურის მიერ გლეხების თანადასწრებით. პანაშვიდზედ მღ. აფციაურმა სიტყვა წარმოსთქვა დ გააცნო ხალხს ვინაობა ალექსანდრე ყაზბეგისა.

*** სოფ. გულ ეკარი: (სამეგრელო) გულ-ეკრის სამამასახლისოში რამდენიმე სოფელია. ამათში ორი გულ-ეკარი და კეთილარი რიონის ნაპირად მდებარეობს და სამეგრელოს სამხრეთის სამზღვარზე ამათზე მეტი სოფელი აღარ არის. აქეთ სიმინდის მოსავალი იცის ძალიან. თითო ქცევას რაც უნდა უამინდობა იყოს, 80—100 ფუთი გამოდის. ფასი-კი ნაკლები აქვს ამ ჟამად სიმინდს, ფუთი ორ აბაზზედ მეტად არ იყიდება.

# ფელეტონი

## მოგზაურობა

სამეურნეო წარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში.

(შემდეგი*)

ახალ-სენაკში დავრჩით ორი დღე და ვათვალიერებდით როგორც თვით ახალ-სენაკს, ისე ახლო-მახლო სოფლებს. აქაც გამოვიკვლიეთ მიწის ნიადაგი, ძველი თუ ახალი კულტურა, აგრეთვე დავიარეთ თ-დ დიმიტრისა და ფარნაოზის ეზოები, რომელთაც აქვთ ბევრი სხვა-და-სხვა გვარი თვალისათვის სასიამოვნო და ბალ-სახლის დასამშვენებელი მცენარენი. დავიარეთ ძველი, თუ ახალი ბაღები, საცა მრავალი იყო სხვა-დასხვა ყვავილები, ხეხილი და ზვრები, რაისისაგან გაშენებული ბაღი (ეხლა აზნაურის ანტონ ქავთარაძისა).

რაისის შემოულია აქ მარწყვის მოყვანა. მარწყვს ისე კარგად უხარნია, რომ ბევრს ხელი მოუკიდნიათ მის მოყვანისათვის და შემოსავალსაც კარგს იღებენ. ამას გარდა აქაურს აფთექარს ვასკოვსკის უცდია ბევრ გვარ თბილ ქვეყნების მცენარის მოშენება და ყველა კარგად ხარობს. აქ თითქმის ყოველს მცხოვრებელს აქვს მიქცეული ყურადღება, გარდა სიმინდისა, რომელიც ბლომად მოსდით (აქაური ერთი ქცევა მიწა იძლევა ას ფუთამდის სიმინდს) ყოველ გვარ სამეურნეო მრეწველობისათვის. ამასთან აქ ყოველ გვარს ხელთ-ნაწარმოებს თუ მიწის მოსავალს კარგი გასავალი აქვს, რადგანაც ქალაქი ადგილი ახლოა და რკინის გზის შემწეობით სხვაგანაც ადვილად შეუძლიანთ, თავისი ნაწარმოები გაიტანონ. ეს სიადვილე ვაჭრობისა და მიმოსვლისა არის მიზეზი, რომ ახალ-სენაკი ასე იზრდება და მრავლდება მის მცხოვრებთა რაოდენობა. აქვე ვინახულეთ ბაღი, ერთის აზნაურის ჯიჯიხიასი, რომელსაც გაუშენებია მშვენივრად ვენახი, ჩაუყრია შიგ სხვა-და-სხვა გვარი ვაზი და ღვინოც კარგად მოდის. ამასთან დაურგავს რამდენიმე ძირი ზეთის ხილი კარგის ჯიშისა. სასურველია, რომ ამ ხილს ისევ გააშენებდნენ და გაამრავლებდნენ, როგორც ოდესმე ყოფილა. ზეთის ხილი კარგი სამარხვო საჭმელია და მასთან საუკეთესო ზეთს ჰხდიან ზეთის ხილისაგან მაგ. პრავანსის ზეთს.

ახალ-სენაკიდგან გავემგზავრეთ ს. თეკლათს (ოთხი ვერსის მანძილზეა სენაკიდგან) ერთის ძველის პარკის სანახავად. ეს პარკი გაუშენებია ერთს აქაურს მდიდარს აზნაურს თებზაიას. პარკი მდიდრულად, კარგად და დიდის გემოვნებით არის გაშენებული. სულ ძვირფასის ხეხილის მცენარეებ-ბის ხეივნებია შიგ. აქ ჰნახავთ ათთხუთმეტ საჟენის სიმაღლის, კრიპტომერიებს, კვიპაროზებს, მაგნოლიებს, ჩინარებს, აკაციებს, ჰადრებს და სხვ. ამასთან ბევრია ყვავილები, კამელიები და მარად ჟამს ამწვანებული მცენარენი. მაგრამ ეს ბაღი დღეს ისეთს მდგომარეობაშია, რომ მისი ნახვა სწორედ დააღონებს ადამიანს: მდიდარს და გონიერს კაცს გონივრულად გაუკეთებია ყოველივე ამ ბაღში, მაგრამ, საუბედუროდ-ჟამთა-ვითარებას ულალატნია მის შვილებისთვის და ეხლა მათის სიღარიბისა გამო ეს მშვენიერი ბაღი ათას გვარის მცენარეებისა წარმოადგენს უდაბურს ტევრს. თუმცა ცოტ-ცოტათი, შეძლებისა დაგვარად, უვლის ამ ბაღს მისი პატრონი მათე თებზაია, მაგრამ რას დაეტყობა ზღვას ერთი წვეთი წყალი რომ მოუმატო. კარგი იქმნებოდა, რომ ამ ბაღს ბ-ნი თებზაია როგორმე გამოაბრუნებდეს ან სხვის შემწეობით და დახმარებით, ან გადასცემდეს სხვას და ამ გვარად დაიფარავდეს ამ მშვენიერს პარკს შემუსვრისა და განადგურებისაგან.

ამავე დღეს საღამოს წავედით ფოთის დასათვალიერებლად. მეორე დილით ადრე დავიწყეთ სხვა-და-სხვა ბაღების თვალიერება. ვნახეთ აქაური ოდესმე განთქმული ბაღი ლიძონისა და ფორთოხალისა, რომელიც გაანადგურეს ოსმალებმა. ეხლა ამ ბაღში მრავალ-გვარი მცენარეა თბილის ქვეყნებისა. მშვენივრად იზრდება ფოთში ყველგან, თითქმის ყველა სახლების ეზოში, იკალიპტი, მაგნოლია, კვიპაროსი, ალეანდრი, აკაცია, ქალალდის ხე, ბაშმალა (სამოთხის ვაშლი), რომელიც ჰყვავის ზამთრობით, კრიპტომერია იაპონიკა, კრიპტომერია ელეგანს, დაფნის ხე, წყავი და სხვა მრავალ-გვარი თვალისთვის სასიამოვნო და სახლების დასამშვენებელი ხე. მოდის აგრეთვე ტკბილი კართოფილი (ბიტიატი), ყოველ გვარი ყვავილები, კამელიები და სხ. ფოთში გაუშენებია ბაღი და სკოლა სხვა-და-სხვა გვარ მცენარეთა მებაღეს, ბოტანიკს რესლერს და აქედან გადატანილ მცენარეებით გაუშენებია ბათუმის ბაღი და მოურთავს ბულვარი; ამ ბაღს ეხლა უვლის რეს-

*) იხ. „ივერია“, № 10.

სკოლა გვაქვს, მაგრამ სოფლები როგორღაც ვერ შეეჩვივნენ და ვერ აფასებენ სკოლის მნიშვნელობას. სკოლის მზრუნველი ბ-ნი დ—ია რომ არ ეხმარებოდეს ამ სკოლას, აქამდე იქნება ესეც მოგვშლოდა. აწლა-კი სკოლა თან და თან წარმატებაში შედის თავის მხნე მზრუნველის წყალობით.

*** „Сынъ Отечества“ იუწყება, რომ ქ-ნი სავინა ავადმყოფობისა გამო ს.-პეტერბურგის საიმპერატორო სცენას თავს ანებებს და განზრახვა აქვს კავკასიაში დასახლდესო.

## დამაკვირდი

უქმობა ჟანგია სულისა.

დევისი

**

როდესაც დავიბადე, ვტიროდი; შემდეგ ცხოვრებამ ამიხსნა მიზეზი ამ ტირილისა.

დურინგსფელდი

**

ვინც სცოდავს, ის თავისის თავის წინაშეცა სცოდავს.

მარკ ავრელი

## ნაწყვეტი

—

ცხოვრება, ძმაო, ომია,
თავს რა არ გადამხდომია,
მაგრამ მაინცა ვცოცხალ-ვარ,
სული არ ამომხდომია.
დაუცხრომელთა მტერთაგან
გული შემქმნია ლომია—
და დუშმანს ტყავსა ვაძრობდი
ისე, როგორცა მდომია,

## კორესპონდენცია

—

**ვაქირი.** (სიღნაღის მაზრა), 3 იანვარს ჩვეულებრივად ახალ წელიწად-დღეს აქ იოანე ნათლის მცემლის დიდებული ტაძარი სავსე იყო მლოცველებით. თუმცა ტაძარი კარგა მოზრდილია, მაგრამ მაინც ამ დღეს ბევრი მლოცველი გარედ-სამხრებში იდგნენ და იქ ევედრებოდნენ მეუფეს. სწორედ სასიამოვნო იყო ამ დღეს ამ ტაძარში ყოფნა: ყველა მლოცველის სმენას ატკბობდა აქაურ მედავითნეთა ტკბილი გალობა, რომელიც მათ განსვენებულ კარბელაშვილისაგან შეუსწავლიათ; მომეტებულად უფრო დაატკბო მლოცველთა სმენა მამა სვიმონ შანშია'შვილის ქადაგებამ, რომელიცმან წარმოსთქვა ჩვეულებისამებრ მდაბიო ხალხისათვის ადვილად გასაგებ ენაზედ. მოძღვარმა გამოსვლისათანვე მიულოცა მლოცველთ ახალი წელიწადი. ისურვა მათთვის ყოველლელივე კეთილი, ამასთან დაწვრილებით აუხსნა თუ რა მავნებელია ადამიანისათვის ერთმანთის სიძულილი, შურის ძიება, ენა ჭაპარტელობა, ცილის წამება დ სხვა ამნაირი ნაკლი დ ურჩია, ყველა ცდილიყო თავიდგან აეცილებინა ზემო აღნიშნული ნაკლულევანებანი აწმყო წელში მაინც და მით დაემსახურებინა მეუფის შეწყალება, რომელსაც უეჭველია არ დაიშურებს მათთვის თავის სულგრძელობლობისაგამო.

ამ ქადაგება-დარიგების დროს, თუმცა ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, სიჩუმე არავის დაურღვევია: ყველა დიდი და პატარა, სმენად გადაიქცა. ასე გასინჯეთ, რომ ზაფხული ყოფილიყო და ბუზი გაფრენილიყო, მის ბზუილსაც-კი შეამჩნევდა კაცი. სასიამოვნო კიდევ ის იყო, რომ თითქო განგებ უსუსურ ბავშვებსაც-კი მოუნდათ ყურის გდება და მოსმენა მოძღვრის სიტყვისა: მათ თავიანთებური ჩხავილით არ დაურღვევიათ სიჩუმე მთელ ქადაგების დროს, თუმცა იგინი ბლომად იყვნენ ტაძარში მოყვანილნი წმიდა საიდუმლო ზიარების მისაღებად.

ბოლოს მქადაგებელმა მიჰმართა მეუფეს და სთხოვა, არ დაეშურებინა თავისი მოწყალება, მიეცა მლოცველთათვის შეძლება, რომ მათ წარსული წლის ნაკლი აწმყო წელში მაინც მოეშორებინათ თავიდგან. გაათავა-რა ქადაგება მამა შანშიაშვილმა, ხალხში გაისმა ამინ, „ამინო.“ ეს იყო ნიშანი, რომ იქ მდგომთ ყველამ გაიგო მქადაგებლის დარიგება, რომლის ასრულებასაც უეჭველია შემდეგისთვის ეცდებიან.

წირვის გათავების შემდეგ მლოცველნი ტაძრის ეზოში იდგნენ; ერთმანერთს ულოცავდნენ ახალ წელიწადს და აგონებდნენ მოძღვრის გონივრულ დარიგებას. საზოგადოდ ძალიან კარგს იზამენ მამანი, რომ ხალხს, ამ ნაირის გასაგების ენით ხშირად ესაუბრებოდნენ ხოლმე.

მლოცველი.

## წერილი ხევიდამ

ჩვენს მხარეს რომ ადამიანი კარგად დააკვირდეს, შეჰნიშნავს, რომ მიწა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით აქ ძლიერ მცირეა და მასთან მწირი და უნაყოფო. ამასთანავე თუ იმასაც სახეში მივიღებთ, რომ მთაში ზაფხული ძლიერ მოკლეა და ზამთარი ხანგრძლივი, რომ აქ ღვინობისთვის პირველიდამ მაისის პირველამდე (ზოგან თიბათვის 15-დეც) სხვილ ფეხს საქონელს არ შეუძლიან საძოვრად გავიდეს და უთუოდ პატრონმა თივითა და ჩალით უნდა ჰკვებოს, ადვილად წარმოვიდგენთ, რა გაჭირვებაში უნდა იყოს აქაური მკვიდრი. აკი ამიტომ ხევში თანდათან უძნელდება ხალხს ცხოვრების სახსრის მოპოვება, დღითი-დღე ღარიბდებიან აქაურნი და იძულებულნი არიან თავიანთ ხიზნით სადმე „ამანათად“ გადაიხვეწნენ. ამისთანა გადასახლებულები ხევ-მთიულეთიდამ ბევრი იყო აქამდე და დღესაც ბევრნი სტოვებენ მამა-პაპეულს ადგილს და მიდიან კავკავში და მის ახლო-მახლო სოფლებში, დღიურად ლუკმა პურის საშოვნელად და ცოლ-შვილის გამოსაკვებად. ზოგიერთებმა გაჰყიდეს კიდეც თავიანთი მამულ-დედული და სახლ-კარი და წავიდნენ კავკავში საცხოვრებლად ცოლ-შვილით; ზოგიც ჰყიდის და აპირებს წასვლას. ჩვენს კაცს (მთის ხალხს) თავის მიწა-წყალის და ქვეყნის გამოსალმება სასახელო საქმედ-კი არ მიაჩნია, პირიქით დიდად რცხვენიან, თუნდა სხვა ქვეყანაში დიდი ბედნიერებაც მოელოდდეს, მაგრამ გაჭირვება აიძულებს, რომ განშორდნენ შევიწროებულს ცხოვრებას. სამწუხაროდ გადასახლებულნი, იმის მაგიერად, რომ ქონება შეიძინონ, უფრო შევიწროებულს მდგომარეობაში სცვივიან და სიღარიბეს თავს ვერ ართმევენ. ამასთანავე ქართველურს გრძნობასაც ჰკარგავენ, ქართულს ზნე-ჩვეულებას ივიწყებენ და, რასაკვირველია, ენაც ეკარგებათ.

ამ ჩვენს მთაში ვისაც ბევრი და კარგი სახნავ-სათესი აქვს, მარტო იმას თუ მოჰყავს სამისა და ოთხის თვის საკვები და საზრდო, თორემ სხვას აქ არ შეუძლიან, მთელი წელიწადი თავი გამოიკვებოს თავისის მოსავლით! დიდად გვიკვირს, როცა ვკითხულობთ ხოლმე გაზეთებში, ამა და ამ ადგილს მოუსავლობა და შიმშილობა არისო და პურის ფასმა 50 კ. 80 კაპეიკამდე აიწიაო. ჩვენ-კი იმავე დროს ქერის მეტი არა მოგვდის-რა საზრდოდ და ისიც იმდენი მოგვდის, რომ სამს თვეს არა გვყოფნის; ამასთანვე ფასიც პურისა, რომელსაც კავკავიდამ 50—100 ვერსის მანძილზედ უნდა მოტანა, მანეთიდამ რვა აბაზამდე ადის. განა ამაზედ მეტი მოუსავლობა იქნება-ღა სადმე სხვაგან? მაგრამ ჩვენი ხალხი ბევრს ჭირს არის ჩვეული და ასე იძახიან: „თუ-კი ხრმლის ქარქაშობაში ხალხს უცხოვრია, ჩვენ-კი ვერ ვიცხოვრებთო“ *) სამწუხარო ისაა, რომ არავინ ჩვენის ქვეყნის მკვიდრთ ავ-კარგიანობას, მათ ბედ-იღბლის წალმა-უკუღმა მიმდინარეობას თვალ-ყურს არ ადევნებს და არ ცდილობს ქვეყანას გააცნოს ჩვენი მწარე ბედი. ჩვენდა საუბედუროდ, ქართველთა მცოდნეთაგან სრულიად არავინ მოგზაურობენ მთებში, რომ ცოტად თუ ბევრად დაჰკვირვებოდნენ ჩვენს მდგომარეობას, შეესწავლათ ჩვენის ქვეყნის უნაყოფო ნიადაგის ვითარება და მკვიდრთ დაქვეითებულს ცხოვრებისათვის რაიმე წამალი დაედოთ.

მართალია, დღეს მთაში მიწა მცირე და უნაყოფოა, მაგრამ მაინცა და მაინც საძოვრების საქმის წეს-რიგით მოწყობა მკვიდრთა შორის თანასწორად მათი განაწილება, ცხვარ-ძ.როხის მოშენება ისე, როგორც ახლანდელი ცოდნა მოითხოვს აგრეთვე წველადღვების კარგად მოწყობა, კარგის თვისების კარაქის და ყველ-ერბოს მზადება, მატყლ-კრავლის ტყავის შემუშავება და სხვა ამ გვარი საქმე განა ცოტა სიკეთეს შესძენდა ამ ბნელით მოსილს მხარესა? ჩვენშიაც რომ მცოდნე კაცები გაჩნდნენ, შეიძლება ყოველ ამ საქმეს გონივრულად მოევლოს და ხალხი ბედში ჩავარდეს. ბარის ქვეყანაში არც ერთი მცენარე და არც ერთი ჰირნახული პატრონს იმ ფასს არ მისცემს, როგორც აქ. ადგილობრივის უცოდნელის მკვიდრთა ხელით შემუშავებული ანუ მომზადებული ყველი ფასობს 4—5 მანეთამდე, ერბო რვიდამ ერთ თუმნამდე, მატყლი და კრაველი 5—6-დე ფუთი და საკლავიც (ქედილობა) ოთხს მანეთს არაოდეს არ ჩამოუვარდება თვითო. რადგანაც ყოველივე ესე მცოდნე კაცის ხელით გაკეთდება, მაშინ ხომ ფასი ამ ნაწარმოებისა ერთი სამად და მეტადაც იმატებს!—მაშასადამე მთის ხალხის ცხოვრებაც უკეთეს მდგომიარეობაში ჩავარდება! მაგრამ ნათქვამია: „სანამ პეტრე მოვიდოდა პავლეს ტყავი გააძრესო“. მეურნეობის მცოდნე კაცები ჯერ ბარშიაც იშვიათად არიან და სანამ ისინი მთას მოჰხედავენ, ჩვენ-კი ჩვენი დაგვემართება.

მაინცა და მაინც ქართველს განათლებულს საზოგადოებას ხასიათად არ დაჰყოლია, რომელსამე სამშობლო კუთხეს დათვალიერება. ამ ხუთის წლის განმავლობაში დევდორაკის საყინულე (ყაზბეგის მთის ასასვლელი ალაგია) *) ათასამდე რუსმა და უცხოელმა ინახულა, მათ რიცხვში მხოლოდ სამი იყო ქართველი. ნუ თუ ქართველებს-კი არად მიაჩნიათ, თავის ქვეყნის რომელიმე შესანიშნავი ალაგი?

საზოგადოდ წელს ჩვენი ხალხი ძლიერ შეწუხებულია, როგორც საქონლის საკვების, ისე საზრდოს ნაკლებობით. აღარ იციან, რა უყონ ან თავს და ან საქონელსა. შეწუხდნენ მით უმეტეს, რომ კავკავის ოლქის უფროსის განკარგულებით ბალთაში და შიგ კავკავში საქონლის ჭირის გამო, კარანტინები არის დაწესებული. ამ კარანტინების მეოხებით სხვილ-ფეხს საქონელს საკვებად კავკავისკენ აღარ უშვებენ, სადაც თივა ძლიერ იაფია, აღარც თივას უშვებენ იქიდამ, რომ ურმებით მაინც მოიტანონ. ამის გამო ზოგი-

*) ძველად, მოუსავლობის დროს, ქერს ერთი-მეორეს ხრმლის ქარქაშით მიასესხებდა თურმე.

*) ამ საყინულის შესავალი გზა არის ყაზბეგიდამ მერვე ვერსზედ ლარსისკენ, გველეთის ხიდის პირას, საიდანაც ხევზედ ცხენით $8^{1}/_{2}$ ვერსი უნდა გაიაროს ყირვნის საყარაულომდე.

ლერის ქალი ქალბატონი ასმიტტისა, რომელმაც გვაჩვენა კამელიები, სხვა-და-სხვა „ლუკოვიცები“, ზეთისხილი, ლიმონი და ფორთოხალი, რომელიც ბაღში სდგას, აგრეთვე ტყის ხეივანი ნაზ მცენარეთა დასაფარავად გაკეთებული. ამ ქალმა გვიამბო, რომ განსვენებული რესლერი, აღებულ იქმნა თუ არა ბათუმი, მაშინვე შეუდგა ჩაის ბუჩქების საქმეს და კიდეც ჰქონდა რამდენიმე ძირი ამ ძვირფასის მცენარისა, მაგრამ სიღარიბისა გამო და იმ მიზეზითაც, რომ თანაგრძნობა არ გაუწია, ვისიც ჯერ იყო, ვერ განახორციელა თვისი სურვილიო. რესლერს შეგულებული ჰქონია მამული ბათუმის მახლობლად, მაგრამ მისთვის არ მიუციათ ეს მიწა. ეს ის მიწა უნდა იყოსო, რომელიც ახლა შეიძინა ჩაის მომყვანელმა პაპოვმა. განსვენებულს საფლავში ჩაჰყვა იმის ჯავრი, რომ ვერ აასრულა თავისი სურვილი და სიკვდილის ჟამსაც სულ იმას ამბობდა, ნეტავ ვინ დაამთავრებს ჩემ დაწყებულს საქმესაო. ჩაის ბუჩქი, მგონია, შეიძინა რესლერისაგან დალფონსმა და მერე რა უყვეს არ ვიციო!

შემდეგ ბაღების დახედვისა, წავედით კანდელის დასათვალიერებლად. აქ შევკრიბეთ მთელის წლის სამეტეოროლოგიო ცნობანი და მეორე დღეს გავემგზავრეთ ისევ რკინის გზით სენაკისაკენ.

ამავე დღესვე საღამოს, ე. ი. 30 ოქტომბერს, გავემგზავრეთ ზუგდიდის მაზრაში. ამავე საღამოს მივედით დაბა ხობში, სადაც დაგვხვდა მაზრის მოურავი ბ-ნი გაბუნია, რომელსაც თავისი სამოურავო ისე კარგად შეუსწავლია, რომ თითოეულად აგვიწერა ყოველი კუთხე არამც თუ მარტო თავისი სამოურავო, არამედ, თითქმის მთელი სამეგრელო: ვინ როგორ სცხოვრობს, ვინ რა მდგომარეობაშია, რა ცხოვრება იყო ამ ოცისა და ოცდა-ხუთის წლის წინად და რა ცხოვრებაა ეხლა; რას მისდევდნენ წინად, ან რას ეტანება ხალხი ეხლა, სად როგორი ნიადაგია, ანუ სად და რომელს სოფლებში მავნებელი ზენა ქარი ჰქრის, სად არა ჰქრის, ან სუსტია მისი მავნებელი ზედ-გავლენა. საზოგადოდ ქარს აურჩევია იმისთანა ადგილები თავის სარბიელად, სადაც არ უშლის მთის ქედები და უდაბური ტყე. სწორედ ის ადგილები, სადაც აკაფულია ტყე და სადაც მის მაგიერ დღეს თითქმის სულ ჭალები და მინდვრებია.

მეორე დღეს გაგვიძღვა თვითონ ბ-ნი გაბუნია და წაგვიყვანა ერთის მთისაკენ. ამ მთის ნახვასა და დათვალიერებას საშინლად ვეშურებოდით, რადგანაც ამ მთაზედ და მის კალთებზედ ბევრი რამ გაგვეგონა. ვითომ აქ ყოფილიყვნენ ძველად გენუელები, ბერძნები და სხვა ტომნი, რომ ვითომ იმათი კულტურა აქედან გავრცელებულა დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებშიაც და რომ ვითომ დღესაც ჰმოწმობს ყოველსავე ამას სხვა-და-სხვა ნაშთი მათის აქ ყოფნისა: სახლების, ციხისა და საყდრების ნანგრევები, და სხ. მართლაც ყველგან, სადაც-კი შეხვდებით ძველს ნანგრევებს, ქვითკირის საძირკვლებს, ახლო-მახლო ჰნახავთ ეხლაც ბევრ ზეთისხილის ხეებს, დაფნის ხეებს და სხვა.

ეს მთა იწყება ხობის მდინარედგან. აქედგან მაღლდება თანდათან და მიდის სიგრძით დასავლეთისაკენ, როგორც ზურგი ცაიშამდე. კალთებიდგანვე დაწყებული, ეს მთა შემოსილია სხვა-და-სხვა მცენარეობით, რომელთა შორის გაარჩევთ ბზასა და დაფნის ხეს, მუდამ ამწვანებულს და ხალხისთვის დიდად სასარგებლოს. ხეთისა და ცაიშის სოფლებს ამ მთიდამ გააქვთ დაფნის ფოთოლი, ღირებული რვაათას მანეთიდამ ათიათას მანეთამდე; დაფნის ფოთოლის შეკრებასა და ყიდვას მისდევენ გლეხკაცები და სადაფნე ადგილები ყველასა აქვს თავისთვის შემოზღუდული. თუმცა საშინელი წვიმა იყო, მაგრამ ჩემი მგზავრები ამ წვიმას არ შეუშინდნენ და ავყევით მთებს, ვიდრე რვაას ფუტის სიმაღლეზედ გზატკეცილიდგან (გზა-ტკეცილი მიდის ამ მთის კალთებზედ სენაკიდგან ზუგდიდამდე). აქ ვნახეთ ერთი გაუქმებული ძველი ეკკლესია, რომლის გალავანში სდგას ბებერი ურთხელა, წყავი, დაფნა და ბზა. იქვე მახლობლად ჩრდილო - აღმოსავლეთისავე მოსჩანს ორი ძველი დიდი ხე ზეთის ხილისა; ეს ადგილი ორასის ფუტის სიმაღლეზეა და აქვე არის გაშლილი ზეგანი, სადაც ვნახეთ შენობათა ნანგრევნი და ქვის ჯვარი, რომელიც ეტყობა, საფლავზედ ყოფილა ამართული. გვინდოდა გაგვეგო როგორმე ამ ზეთის ხილების დამრგველი ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთმა აქაურმა მოხუცმა გვიამბო, რომ არც ჩვენ ვიცით და არც ჩვენმა მამა-პაპამ იცოდა როდინდელი დარგული უნდა იყოს ეს ხეხილიო; გაგვიგონია მხოლოდ, რომ ბერძნების ზეთის ხილიაო. სხვა ვერა გვითხრა-რა მოხუცმა.

აქედგან ჩავედით ერთს სოფელში, რომელიც, როგორც გალია, ისეა შემოზღუდული მთებით და ამ მთებზედ ამწვანებულია ირგვლივ დაფნა, ბზა და აქა-იქ ზეთის ხილი. აქ საშინლად დაუშვა წვიმამ და ერთის

ერთმა მოხელემ თხოვნა მიართვეს ბ-ნს კავკავის ოლქის უფროსს, საქონლის გამორეკის ნება მოგვეცით, რომ გამოვკვებოთ, ან თივის ყიდვისა და ცხენების ურმებით მოტანის ნება მოგვეცით, რომ შინ მივიტანოთ თივაო, ან ჩამორეკვის დაბახარზედ გაყიდვის ნება მოგვეცით, რომ, როგორც იქნება, თავიდამ მოვიშოროთ საქონელიო. ბეითალსაც შეამოწმებინეს, რომ საქონელი საღია, მაგრამ არცარა ამით გამოვიდა-რა.

კავკავის გზაზედვე არის კარანტიბები, სადაც დარაჯათ რუსის ყაზახებია დაყენებული და არც ერთს მგზავრს არ შეუძლია რომ იარაღი ატაროს. ყველა მეურმეს, ანუ ფურგუნით მიმდინარს, თუნდ ცოლშვილით იყვეს ღამე და დღე, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ხვდებიან, ეტლს უშინჯვენ უბე-ჯიბეებს უჩხრეკენ, იარაღი დამალული არ გქონდეთო.

აი ამ მდგომარეობაში გახლავართ აქაველები.

კალმის-წვერა

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

გაზ. „С.-Петербург. Вѣд.“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი საგამომძიებლო საქმის შესახებ. გაზეთი იმ აზრსავე ადგება, რომელიც ჩვენც გამოვთქვით ამას წინად ჩვენის გაზეთის მეთაურს წერილში. გაზეთი ამბობს, რომ

ამ ჟამად ყოვლად საჭიროა ძირეულად შეიცვალოს საგამომძიებლო საქმე. ჯერ კიდევ სასამართლოთა წესდების შემუშავების დროს 1864 წლებში ვერ გადაეწყვიტათ, გამოძიებას „ფარულად ძებნის“ ხასიათი მიეცეს, თუ დაუფარავად იქმნას იგი წარმოებულიო. ეს' უკანასკნელი აზრი უფრო მოეწონათ სახელმწიფო საბჭოს შეერთებულს დეპარტამენტში, მაგრამ ბოლოს ისევ „ფარულად ძიებას“ დანაშაულისას დაადგნენ, რადგან ასე წარმართული გამოძიება დამნაშავეს გაუძნელებს დანაშაულის მიფანიერებასა და დაფარვასაო. საქმით-კი აღმოჩნდა, რომ ასეთი გამოძიება ცალ-კერძოა წარმართული. გამომძიებელი სულ საბუთების შეკრებაშია იმ კაცის წინაამდეგ, რომელიც მას დამნაშავედ ჰგონია. თუმცა კანონი ავალებს მიუდგომლადა და მიუკერძველად მოქცევას, მაგრამ ძნელად თუ ცხოვრებაში ასეთი თვისება და ღირსება გამოიჩინოს გამომძიებელმა. ბეკკარია ამბობს, რომ თვით დამოუკიდებელი მოსამართლეც-კი ისე ეჩვევა დამნაშავეთა და ბოროტ-მომქმედთ, რომ ყოველი კაცი, იმის წინაშე წარმდგარი, დამნაშავე და ბრალდებული ჰგონიაო. თუ ეს ასეა, რაღა უნდა ემართებოდეთ გამომძიებლებს, რომელთაც თვით კანონი ავალებს უეჭველად დამნაშავის პოვნას და ბრალდებას ადამიანისას?

მოჰყავს რა, სხვათა შორის, ეს აზრი გაზეთისა, გაზ. „Рус. Вѣд.“-ი თავის მხრივ შენიშნავს:

რაღა ლაპარაკი უნდა იმ გარემოებას, რომ ცხოვრებაც და სამართლიანობაც დიდად დაზარალდება, თუ საგამომძიებლო საქმე ჯეროვანად არ არის მომართული და მოწყობილი. დააკვირდით სასამართლოს მოღვაწეობას და დარწმუნდებით, რომ ხშირად გამომძიებლის მიერ სამართალში მიცემული კაცი სასამართლოში ჰმართლდება, რადგან სრულიად მართალს კაცს აძლევენ ხოლმე სასამართლოში, ან საკმაო საბუთებს ვერა ჰკრეფენ მი'სის დანაშაულისას. ვინ მოსთვლის რამდენი იტანჯება ასეთის წყალობით ზნეობრივადა და ქონებრივად!

რაღა თქმა უნდა, რომ უეჭველად უნდა შეიცვალოს აწინდელი წესი და ისევ უპირატესობა საგამომძიებლო საქმის დაუფარავად წარმოებას მიეცეს, რადგან როდესაც გამომძიებლის ხელში ჩავარდნილს კაცს კანონების მცოდნე და რიგიანი პატრონი ეყოლება, რომელიც ეცდება საქმის დასაწყისშივე ავ-კარგიანობის გამორკვევას, მაშინ გამომძიებელიც ისე ზერე-ქვერედ არ მოეკიდება საქმეს, თუ დამნაშავეა იჭვ-მიტანილი, ეცდება მოუნახოს მეტი საბუთი დანაშაულისა და თუ უბრალოა, მაშინ იძულებული შეიქმნება ადრევე, სამართალშივე მიუცემლად განათავისუფლოს იგი და ყოველივე ბრალი აჰყაროს; მაშინ გამომძიებელნი უფრო იშვიათად ღაადგებიან შემცდარს კვალს გამოძიებისას და ამით საგამომძიებლო საქმეს უფრო მეტი სამართლიანობა დაეტყობა.

# რუსეთი

ხმა დადის, რომ სახელმწიფო საბჭომ 8 იანვარს მოისმინა დედათა სწავლის საქმეში ცვლილებათა შემომღებ წესდების პროექტი და იმ აზრს დაადგა, რომ ეს პროექტი არ ეთანხმება აწ მომქმედს დედათა განათლების შესახებ კანონ-დებულებასაო. ამ აზრს საერო განათლების სამინისტროც დაეთანხმა და საბჭოს შენიშვნებითურთ უკან წაიღო პროექტი შესავსებლად და შესაკეთებლად იმ გვარად, როგორც სახელმწიფო საბჭომ დაინახა საჭიროდ.

—

მიტავის რუსთა საზოგადოებას განზრახვა აქვს 1895 წელს დიდის ამბით იდღესასწაულოს ასის წლის შესრულება მას შემდეგ, რაც კურლიანდია რუსეთს შეუერთდა.

—

შინა-მრეწველობა რუსეთში ძალიან მძიმედ მიდის წრმატებაში, თუმცა-კი წარმატება ზოგიერთის შინამრეწველობის ხელ-საქმისა, მეტადრე სამეურნეო იარაღებისა, ძალიან სასურველია, რადგან ამითი თვით შინა-მრეწველობაც იმატებს, მეურნეობაც განკარგებაში შევა. რიაზანისა, ვიატსკისა და პერმის გუბერნიებში გლეხები მრავლად აკეთებენ გუთანს, სალეწავს, სანიავებელს და სხ. იარაღს და ძალიანაც არის გავრცელებული მათი ნაკეთობა. სიაფისა გამო, რასაკვირველია, უფრო გავრცელდებოდა, ცოტა რომ გაუმჯობესებულიყო და უფრო მეტად რომ დაეკმაყოფილებინა მყიდველთა მოთხოვნილება. ამის გამო სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ, უმაღლესის ნება რთვით, ინჟენერ ტეხნოლოგს ბერეზკოვსკის მიანდო საზღვარ-გარედ წასვლა და დათვალიერება რუსეთისათვის გამოსადეგ სამეურნეო იარაღებისა, რომ იმათის კეთე'ის ცოდნა ადგილობრივ შინა-მრეწველებმაც შეისწავლონ.

—

«Новое Время»-ში დღეს ერთი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი, რომელიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

«ნეტა რუსები განათლებულნი და განვითარებულნი ხალხნი ვართ, თუ არა? ხშირად რუსეთის ცხოვრებაში ისეთს ამბავს წააწყდებით, რომ ზემოხსენებულ საკითხის პასუხად «არაო» გადგებათ პირზედ. ამ დღესასწაულებში ნოვოზიბკოვის მაზრის სოფ. სემიონოვკაში ჯაჭრები სვამდნენ თურმე და ქეიფობდნენ. ერთმა მეორეს ამ ქეიფის დროს რვა თუმნად მიჰყიდა თავისი თმები. მყიდველმა მისცა რვა თუმანი, იქავე მუსიკა დააკვრევინა და დაუწყო წვერისა და თმის კრეჭა თავის ამხანაგს. გაჰკრიჭა ცხვარსავით, მხოლოდ ალაგ-ალაგ დაუტოვა თურმე გაჩორკნილი თმა ოღრო-ჩოღროდ. „ამ ამბავმა, სწერს კორესპონდენტი: დიდი სიცილი და მხიარულება გამოიწვია ხალხშიო“. ნუ თუ ეს მხიარულება და სიცილი სწორედ ნადირ ხალხთა შესაფერი არ არის? ეს ამბავი კლუბში მომხდარა.

„აი მეორე ამბავი, უბრალო სასმელების დუქანში მომხდარი: სასმელების დუქანში სამი რუსის გლეხი-კაცი შევიდა, ორი ფულიანი, ერთი უფულო. „ძალიან კარგიაო, უთხრეს ფულიანებმა უფულოს. დაგპატიჟებთ, ძმაო, ამ პირობით-კი, რომ ნება მოგვეცი წვერზედ ცეცხლი მოგიკიდოთო“. უფულო გლეხი დასთანხმდა, რა დიდი საქმეა წვერის დაწვა, ამ არაყს ხომ დავლევ და წვერი-კი ისევ ამომივაო. სთქვეს და თქმულის შესრულებასაც შეუდგნენ. გაჰკრეს წუმწუმა და მიიტანეს გლეხის წვერთან. წვერმა ტრახა-ტრუხი დაიწყო, მაგრამ არ იწოდა, მეტად მაგარი თმა იყო. „ეჰ, ძმაო, უთხრეს ამ გლეხს მეგობრებმა: შენ, თმა-კი არა, მავთულები გქონია. მოდი ნავთს დავასხამთ წვერზედ, მაშინ უფრო მოეკიდება ცეცხლიო“. უფულო გლეხი, არყის დალევით გახარებული, ამასაც დასთანხმდა. ნავთი გადაასხეს წვერზედ და ანთებული წუმწუმა მიიტანეს. წვერმა იფეთქა უცბად, თითქოს ხმელი თივა იყოსო, ისე ძლიერ, რომ შეშინებულმა გლეხებმა ვეღარ შეიძლეს იმისი ჩაქრობა და საბრალოს მთელი პირი-სახე დაეწვა, აღარც წვერი შერჩა და აღარც თმა, წარბი და წამწამი. დაიკვნესა საბრალომ და დედამიწაზედ დაეცა. „აი, უბედურება თუ გინდათ, ეს არისო, გაოცდნენ ფულიანები: რა ვქნათ ეხლა? ავწიოთ და გარეთ გადავაგდოთო“. ასწიეს და ქუჩაზედ დააგდეს თურმე, საიდგანაც ეს დასახიჩრებული კაცი პოლიციელმა სამკურნალოში გაჰგზავნა.“

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ვალიანის ყუმბარამ დიდი სიკეთე უყო აწინდელს სამინისტროს. ამ ყუმბარის წყალობით სამინისტროს დიდი უმეტესობა მიემხრო და იმისისავე მიზეზით რამდენიმე სარეაქციო კანონი დაიდო, ბეჭდვითის სიტყვის შესახებ, საზოგადოებათა წინააღმდეგ და სხვანი. ორი ანარხისტთა გაზეთი სრულიად აღიკრძალა, ხელ-ნაწერებს ჰსინჯავენ და ამას წუნად და ნაკლად აღარავინ უთვლის მთავრობას, თუმცა საჩივარი-კი გაისმის ზოგიერთებისა. ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს სდევნოს არა მარტო ანარხისტები, არამედ იმათი აზრებიც-კი. ყოველ ამის მიზეზი ვალიანი-კი ამ ჟამად სასჯელს ელის და დროებით „La Roqette“-ს საპატიმროშია გადაყვანილი, სადაც საპატიმროს მცველებს აოცებს თავისის არა-ჩვეულებრივის მხნეობითა და შეუშფოთებელის გულის სიმშვიდით. ამ სამიოდე დღის წინად ვალიანმა მოისურვა თავისის საქმის კასსაციით გადატანა, თუმცა ყველანი იმ აზრისანი არიან, ზოგიერთ სასჯულო საქმეთა მცოდნეების მიუხედავად, რომ ეს კასსაცია არ იქმნება შეწყნარებულიო.

გაზეთები ამ გარემოებაზედ მეტად ვალიანის შინაურს ყოფა-ცხოვრებას ადევნებენ თვალ-ყურს. თითქმის დღე ყოველ იბეჭდება წერილები იმათი, რომელთაც ვალიანის ცოლი უნახავთ, ან ამბავი ცოლ-ქმრის მიერ ერთმანეთის ნახვისა, წერილები, რომლებსაც ვალიანი ჰგზავნის აქეთიქით. უფრო-კი დიდი ყურადღებაა მიქცეული ვალიანის პაწია ქალიშვილს სიდონიაზედ. ერთმა კეთილშობილმა ქალმა, ჰერცოგის მეუღლემ დ'იუზესმა მოისურვა თითონ აყვანა ამ ყმაწვილისა და თავისის ხარჯით აღზრდა. განაცხადა კიდეც, იმიტომ მინდა მისი აღზრდა, რომ ყმაწვილი ქალი უსამართლო საზოგადოების წინააღმდეგ იმ იარაღს ვერ იხმარებს, რომელიც იმისმა მამამ იხმარაო; აბატმა ლემიარმა გაზეთებში წერილი დაპბეჭდა და თხოულობს რომ თვით იმ სახელმწიფომ, რომელიც ვალიანსა სჯის, უნდა იზრუნოს იმის ქალიშვილის ბედისათვისაო; ცნობილი ანარხისტი სებასტიანე ფლორი დეპეშით იწერება, რომ მე მომეცით ვალიანის შვილი აღსაზრდელადაო; დასასრულ, სოციალისტებმა განსაკუთრებული კრება გაჰმართეს და კლოვის გიუგას თავმჯდომარეობით დაადგინეს, რომ სი-

---

გლეხისას მივედით, საცა ერთი ვაების ხმა და ტირილი მოგვესმა; ვნახეთ დედაკაცნი ძაძით მოსილნი და თმა გაწეწილნი, რომელნიც ლოყებს იკაწვრიდნენ და თმებს იგლეჯდნენ. მაინც მეტი ღონე არ იყო, უნდა მივსულიყავით, ვიდრე გადიდარებდა. მოგვეგებნენ და მიგვიწვიეს სასტუმრო სახლში. ჩემი მგზავრები დიდად გაჰკვირდნენ ამ ნაირ უცნაურის სანახაობით და მკითხეს: „Князь! скажите намъ, ради Бога что это значить“? მე, რასაკვირველია, მივხვდი, რომ აქ უთუოდ მიცვალებული უნდა იყუს მეთქი. ავუხსენი რომ ამ ნაირი ჩვეულებაა აქ, როცა ახალს მიცვალებულს ტირიან მეთქი. ვიკითხე ვინ გარდაიცვალა მეთქი და მიამბეს შემდეგი: ამ გლეხებსა და მათ მეზობელს ჰქონიათ სადაო მიწა, რომელსაც ერთმანეთს ართმევდნენ და ერთმანეთის ძალ-მომრეობისაგან იცავდნენ. ორის დღის წინად წასულან ეს გლეხები თავის მიწის დასაცველად. იქ მოხდომიათ საშინელი ჩხუბი. სწორედ ამ დროს ეს საწყალი დღევანდელი მიცვალებული, ახალგაზდა ქალი, ცოლი იქ მყოფ ერთის ყმაწვილის გლეხისა, ჩავარდნილა მოჩხუბართ შუაში გასაშველებლად. რაკი დაინახეს დედაკაცი, მოჩხუბარნი შესდგნენ, დედაკაცს პატივი სცეს და ხიფათს ააშორეს ერთმანეთი. საზოგადოდ სამეგრელოში ამ გვარ შემთხვევაში დედაკაცები არიან მშვიდობიანობის ჩამომგდებნი. მაგრამ საწყალი ამ მიწის გამო დავამ და გულის-ხეთქამ როგორც მრავალი სხვაც, ესეც იმსხვერპლა. ქალი ფეხ-მძიმედ ყოფილა, რაკი გაუგია, სად წავიდნენ მისიანები, გამოსდგომია უკან ერთის ვერსის მანძილზედ და ისიც ავდარში; იქ თუმცა საშინელი მხნეობა მამაცობა გამოუჩენია, მაგრამ როცა დაბრუნებულა ჩავარდნილა ლოგინად გაციებული და ორის დღის განმავლობაში გარდაცვლილა. სწორედ ამ ქალს ტიროდა მთელი სოფელი ასე გულმტკივნეულად.

ჩვენ ცოტას ხანს შევისვენეთ. ბ-ნი გაბუნია გამოგვეთხოვა და ჩვენ ჩვენს გზას გავუდექით. დავყევით ურთის კალთებს და ურთის ბოლოს შევყევით ისევ მთისაკენ. ჩაველით ერთს ხეობაში, გვარად ვართაგავებისას. აქ ვთხოვეთ ეჩვენებინათ ჩვენთვის დაფნის ტყე, მაგრამ გლეხები გადაგვიდგნენ წინ და უარი გვითხრეს, ტყეს ვერ გაჩვენებთო; წინამძღოლის ცხენსაც ხელი მოჰკიდეს და გვითხრეს ამაყად: თქვენ უთუოდ ბაჟი უნდა დაგვადვათ და იმისთვის მოსულხართ, თორემ ჩვენს ტყეში სადღაც მთაზედ რაღაც იზრდება, თქვენ რა გინდათო. მე ავუხსენი, ვინა ვარ და მართლა ძალიან გამომადგა ამ შემთხვევაში ჩვენებური ძიძაობა და გაზრდილობა. ამათ ჰყოლიათ ვიღაც ჩემის გვარის კაცი გაზრდილი და, რაკი გაიგეს ჩემი გვარი, მაშინადვე წინამძღოლის ცხენს ხელი უშვეს, ქალიან კაციანად მოვიდნენ ჩემთან თავი დამიკრეს და მითხრეს, რომ ჩვენ გამზდელნი ვართ თქვენის გვარ ყმაწვილებისა და თქვენი სიტყვა ჩვენთვის ჰეშმარიტება იქნებაო. მეც ყოველივე ვუამბე და ვუთხარი, რაც იყო ჩვენთვის საჭირო. გაგვიძღვა გლეხი მთისაკენ. ბ-ნი კლინგენი გამოუდგა იმას ქვევითით და წაველით ტყის დასათვალიერებლად. ვნახეთ დაფნის ბევრი ხეები და მასთან ახალი გაშენებული დაფნის ხის ტყეცა. ამავე ადგილას მეორე ხევიდგან დაწყებული სამხრეთით მთა ამწვანებულია ბზის ტყით. დაფნის ძველი ტყე გაიყოფება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი იწყება მთის კალთებიდგან, აჰყვება ზევით-ზევით, და კარგა მანძილს რომ აივლით, ნახავთ განგებ გაშენებულს პარკს ბებერ დაფნის ხეებისას. თითოეულ ხეს ათის ვერშოკის სიმსხო ექმნება და სამიდან ოთხ საჟენამდე სიმაღლე აქვს. ხეები მშვენივრად და წყობისად არის დარგული. ხეების პირველ წყებიდან გახვალთ ხეივანში. ეს ხეივანი მიგიყვანთ იქ, საცა თითქო დაფნის ხეები ერთი მეორეს შეზდიაო; აქედან ისევ დაიწყება ხეივანი, რომელსაც მოსდევს კიდევ სხვა გვარი მორგვალებული ხეივანი; იქიდგან იწყება რამდენიმე სხვა ხეივნები და გზას აჰყავხართ მაღლობზე სადაც ფართე ზეგანია. ზეგანზე არის ძველი ქვის შენობის ნანგრევები. აშკარაა, რომ ეს მშვენიერი თვალთათვის ადგილი რომლისამე მდიდარისა და განვითარებულის კაცის სამოსახლო ყოფილა და იმას გაუშენებია აქ დაფნის პარკი. ამ მთეზზე უნდა ეცხოვრათ, ალბად, გენუელებს, რომაელებსა და ბერძნებს. მათ შემდეგ შეიძლება სცხოვრობდნენ საქართველოს დიდებულნი, თავადნი თუ აზნაურნი და ისინიც ჰბაძავდნენ გენუელების კულტურასა, აი ამ მთიდან თურმე იგზავნებოდა მცხეთას და საქართველოს ყველა სხვა ქალაქებში მარხვისათვის ზეთის ხილი. დავიარეთ-რა ეს ტყე და მთა, შევისვენეთ ტალახში სიარულით დაქანცულებმა, შემდეგ გავსინჯეთ მიწის ნიადაგი, გამოვკითხეთ გლეხებს, რა საქმესა და რა მეურნეობას მისდევენ, შევკრიბეთ საკმაო ცნობანი და გზას გავუდექით ზუგდიდისაკენ.

გიორგი ჩიჩუა

(შემდეგი იქნება)

დონია ჩვენმა „სახალხო სახლმა" იშვილოს და სოციალურ აზრების მიმდევარად აღვზარდოთო. ამ გვარად პაწია სიდონიას აღზრდას ერთმანეთს ეცილებიან: სახელმწიფო, არისტოკრატია, სოციალისტები და ანარხისტები. ძნელი სათქმელია, ვინ გაიმარჯვებს ამათში. მხოლოდ ეხლა ხან გაიხსენეს, რომ ამ ბავშვის მამა — ვალიანი, რაც უნდა იყოს, მაინც ჯერ კიდევ ცოცხალია და კარგი იქნება, იმასაც ეკითხოს, რას უპირობს თავისს ქალიშვილსაო. ამას შემდეგ ადვილად მისახვედრია, როგორს აღმზრდელებს უფრო ირჩევს ვალიანი. საეჭვოა მხოლოდ, რომ მისი უკანასკნელი სურვილი შეწყნარებულ იქმნას. ჯერ ვალიანის აზრი ამ საგნის შესახებ გამოცხადებული არ არის.

## გასართობი

—

ისტორიას რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ დიდებულნი კაცნი დიდად უბედურნი ყოფილან. უმეტესობა მათგანი თავისის ბუნებრივის სიკვდილით არ გარდაცვლილა. დაწვრილებით რომ არ მოვიყვანოთ ასეთ უბედურთა სია, მოკლედ მოვიხსენიებთ მხოლოდ: ცეზარი, ციცერონი, ეზოპი, ჰენრიხ მე-IV, არხიმედი—მოკლულ იქმნენ; სოკრატი, არისტოტელი, ალექსანდრე დიდი— საწამლავმა დაჰხოცა; ეპამინონდ რიუიტერი, ტიურენი, გუსტავ ადოლფი, კარლოს მე-XII—ძალ-დატანებით დაიხოცნენ; ბრუტმა, ანნიბალმა თითონვე მოიკლეს თავი; სციპიონი, კამილი, თემისტოკლე, ნაპოლეონი, დანტე, ოვიდიუსი განდევნილ იქმნენ სამშობლოდგან და სხვა ქვეყანაში დალიეს სული; ტასსო საპატიმროში გარდაიცვალა; ქრისტეფორე კოლუმბი, კამოენსი, სერვანტესი, კორეჯიო და მოცარტი სიღარიბემ დაჰხოცა. ასეთივე ბედი ჰხვდა ჰომერსაც.

**

„ორი უფლება ჰმართავს ქვეყნიერებასაო, ამბობდა ხოლმე ერთი შესანიშნავი ვექილი: უფლება ღონიერისა და უფლება მზაკვარისა". ეს თქმულება ჰგავს ტალეირანის ზნეობრივს წესს: „საზოგადოებას ორი დასი შეადგენს, ერთნი არიან გამკრეჭავნი, მეორენი —გასაკრეჭნი. ყოველთვის პირველთ უნდა მიემხროს ადამიანი და მეორეთა წინააღმდეგი იყოსო."

**

ერთი გულ-უბრყვილო კაცი ამბობდა:

— სწორედ მოგახსენოთ, მე ყვავილის აცრისა არა მრწამს-რა. აბა რა სარგებლობა მოაქვს. ერთს ყმაწვილს ვიცნობდი, მშობლებმა ყვავილი აუცრეს... მერე? წარმოიდგინეთ, ეს ყვავილ-აცრილი ყმაწვილი ორის დღის შემდეგ გარდაიცვალა.

— როგორ თუ ორის დღის შემდეგაო? შეეკითხნენ.

— როგორ და ისე, რომ ფანჯარასთან დაცოცავდა; ძიძას კარგად ვერ ეგდო თვალყური, გადავარდნილიყო და იქვე სული განთხია... მოდით და ამას იქით ყმაწვილებს ყვავილი აუცერით იმ იმედით, რომ სიკვდილისაგან უზრუნველსა ჰყოფსო.

## გამოსადეგი ცნობა

—

ყინულისაგან დაზრულ ხილისა, მწვანილის და კვერცხის გამოცოცხლება. ამისათვის „Hydiene pratigu" ერთს სულ უბრალო საშვალებას გვირჩევს. დიდს პირღია ჭურჭელში ცივი წყალი უნდა ჩაასხათ, მაგრამ ცივი-კი არა, ისე ახლოდ მოტანილი და შიგ ორი მუჭა საჭმლის მარილი ჩაჰყაროთ. მარილი რომ გაიხსნება, ყინულისაგან დაზრული ხილი და მწვანილი შიგ ჩააწყეთ; რამდენისამე ხნის შემდეგ დაზრული ხილი და მწვანილი გამობრუნდება, გამოცოცხლდება და უწინდელს სანახაობას მიიღებს, თითქოს ახალი დაკრეფილი იყოსო. ამასთან არც გემო უფუჭდება. ასე შეიძლება გამობრუნება ყინულისაგან დაზრულ კვერცხებისაც.

# დეპეშა

15 იანვარი

**პეტერბურგი.** 1891 წელს შემოღებული წესები სხვილ-ფეხა საქონლის და ცხვრის გადაყვან-გადმოყვანის შესახებ ისევე ძალაში იქნა დატოვებული 1894 წლის დამლევამდე, იმ გუბერნიებსა და ოლქებს გარდა, სადაც საქონლის ჭირია გავრცელებული.

სახელმწიფო ბანკმა გამოაცხადა, რა ცვლილებანიც არის შემოღებული ფულის გაგზავნ-გამოგზავნის წარმოებაში.

**სოფია.** სასამართლომ დაიწყო გარჩევა ძმ. ივანოვების საქმისა, რომელთაც პრინც კობურგელის წინააღმდეგ შეთქმულობა ჰბრალდებათ. ბრალმდებელი თხოულობს, რომ დამნაშავენი სიკვდილით უნდა დაისაჯნენო.

**პარიჟი.** ბეგანზინის ძმა დაგომეის მეფედ არის გამოცხადებული. საფრანგეთი ჰმფარველობს.

**რომი.** სიცილიაში საქმეთა ვითარება განკარგებულია და მშვიდობა ჩამოვარდა; ხალხი გაუჭირვებლად იხსნის იარაღს და სარევოლიუციო ამხანაგობანი იკეტება.

**ბელგრადი.** ქალაქში სრული მშვიდობაა; მეფე-მამა არსად გამოდის, მხოლოდ დარბაზად იყო მიტროპოლიტ მიხეილთან. დაჟინებით გაისმის ხმა, რომ დედოფალი-დედა ჩქარა ჩამოვაო.

16 იანვარი

**პეტერბურგი.** ყირიმის მარილის მრეწველთ კ. ო. მაევსკისა და ი. ი. კომენს ნება მიეცათ სააქციონერო საზოგადოება დაარსონ, რომელსაც სახელად ერქმევა „სამხრეთ-რუსეთის მარილის სამრეწველო საზოგადოება". წესდების თანხმად, ეს საზოგადოება იმ აზრით არსდება, რომ შეიძინოს, გაჰმართოს, იჯარით აიღოს და შეიმუშაოს მარილის მადნები და სამრეწველონი ეკატერინოსლავისა და ტავრიდის გუბერნიებში. ძირის თანხა საზოგადოებას ერთი მილიონი აქვს.

20 იანვრისათვის არის მოწოდებული ნავთის მწარმოებელთა კრება ნავთის მექარხნეთა საერთო კავშირის შესადგენად.

ფინანსთა მინისტრმა ნება დართო, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ ტარიფები შემცირებულ იქმნას პირველ თებერვლიდგან.

გარდაწყვეტილია, რომ გზათა უწყების სამინისტროში შემოსავლებ ცვლილებათა პროექტი პირველ მარტამდე დაამთავრონ.

17 იანვარი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი ავად გახდა ინფლუენციით, ყელის კატარი აქვს და ანთება მარჯვენა ფილტვისა. სიცხე ღამე 39°-მდე აქვს.

**ბელგრადი.** ის პირნი, რომელნიც მთავრობასთან ახლო სდგანან, ამბობენ, რომ მილანი ჩქარა ჩავაო; ამისდა მიუხედავად, ის ხმაც დაბეჯითებით გაისმის, ვითომ მეფე ალექსანდრე სამოგზაუროდ წავა და რეგენტად თავისს მამას დასტოვებსო. ბევრი ლაპარაკი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ მილანი სტუდენტების ბალს დაესწრო. ბალში შესვლამდე მილანმა ათი ოქრო შეიტანა სტუდენტთა კასსაში, რომელთაც ისე ჩასწერეს, რომ ბ-ნმა მილან ობრენოვიჩმა, პარიჟიდგან მოსულმა, შემოგვწირაო.

მეფის ბრძანებით, ლიბერალ მინისტრების სამართალში დევნა მოსპეს; მინისტრებს პატიება გამოეცხადა.

**პარიჟი.** დეპუტატმა კლობის გიუგმა პალატაში იკითხა დაპატიმრებულ ანარხისტების საქმე და მთავრობა გაჰკიცხა ამ უკანასკნელ დროის მოქმედებისათვის. მინისტრების რეინალისა და დეპუტატ შოდეს სიტყვების შემდეგ გაისმა მემარცხენეთა ხმა: „კომმუნას გაუმარჯოსო". ამ ძახილისათვის პალატამ დაადგინა, რომ დეპუტატი ტავრიე გამორიცხულ იქმნას პალატიდგანო; სოციალისტებმა ამის გამო პროტესტი განაცხადეს, ტავრიემ უარი სთქვა, არ წევალო; ამის გამო ყველა დეპუტატები წავიდნენ, ტავრიესა და 30 სოციალისტს გარდა. ბურბონის სასახლეს სამხედრო კომენდანტი პალატის დარბაზში ჯარის-კაცებით შევიდა და იძულებულ ჰყო ტავრიე და სხვა სოციალისტები გასულიყვნენ. პალატამ დაადგინა, მოწონებულ იმქნას მთავრობის ყოველი მოქმედებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,37 | 7,40 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147¼ | 148 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | —,, | —,, | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 240 |
| —მეორისა . . . . | | —,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა. . | --,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | 189¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 100¾ | —,, | —,, |
| 5%. . . . . . | 98¼ | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100¾ | —,, | —,, |
| 5%. . . . . . | 98¼ | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | —,, | —,, |


# განცხადებანი

ველოსიპედის მსურველთა საყურადღებოდ!

ვ ყ ი დ ი

**163 მანეთად** ინგლისურ ველოსიპედებს

პნევმატიურ შინებით „Dunlop" 1893/94 წ.—გთხოვთ მოითხოვოთ კატალოგები.

ვ. გ. რიაბოვი.

Н. Новгородъ Сустинская.

(5—1)

მიიღება ხელის მოწერა

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე"-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . . : . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე— 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის" რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе".

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე

## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი **ჩვენგან შედგენილის:**

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

გლიცერინის საპონისა სახეებით,

გლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.




**ბროკარი და კº.**

(8—3)



## „ივერია"

ამ 1894 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.